ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2011 წლის 31 მარტი

ქ. ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის I თავის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-6 მუხლის მე-6 ნაწილის, მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის XXIX თავის მე-200, 201-ე, 202-ე, 203-ე, 204-ე, 205-ე, 206-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1

1. შემოღებულ იქნეს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადი.

მუხლი 2

2. განისაზღვროს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთები:

ა) საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით;

ბ) საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტის ოდენობით;

გ) ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

გ.ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.05 პროცენტის ოდენობით;

გ.ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.8 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 3

განისაზღვროს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სახეობები	განაკვეთი (ლარი/ჰა)
ცაგერის მუნიციპალიტეტი	სათიბი	3.75
	სათიბი გაკულტურებული	16
	საძოვარი	2.25
	საძოვარი გაკულტურებული	10
	საკარმიდამო	65
	სახნავი კარგი	65
	სახნავი მწირი	55
	ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები	10
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესაბამისი	3.0

	ლიცენზიით გამოყოფილი მიწა	

მუხლი 4

1. განისაზღვროს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი 1 კვმ-ზე დიფერენცირებულად შესაბამისი ზონების მიხედვით:

№	ზონების დასახელება	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი 1მ² (ლარებში)	წლიური გადასახადის განაკვეთი 1 მ² (3X4)
1	2	3	4	5
1	I ზონა ქ. ცაგერის ტერიტორია	0.3	0.24	0.072
2	II ზონა (შუალედური) მუნიციპალიტეტის სოფლების და სხვა დანარჩენი ტერიტორია	0.15	0.24	0.036

2. კურორტებისა და საკურორტო ადგილებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთი განისაზღვროს ცენტრალური ზონისათვის დადგენილი ოდენობით.

მუხლი 5

ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქონების გადასახადის გადამხდელთა კატეგორიები, დაბეგვრის ობიექტები, გადასახადების გამოანგარიშების, გადახდისა და ანგარიშგების წესები, აგრეთვე გადასახადებისაგან გათავისუფლების შემთხვევები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

მუხლი 6

1. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის №16 დადგენილება „ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“.

მუხლი 7

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გაგრძელდეს 2011 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე მ. ლეთოდიანი